გირჩევთ ალლაჰის შიშს, სმენას და მორჩილებას (მმართველზე), თუნდაც თქვენზე მმართველად მონა იყოს დადგენილი, ვინც კი თქვენგან ჩემს შემდეგ იცოცხლებს, ნახავს მრავალ განსხვავებას. ამიტომ მტკიცედ დაიცავით ჩემი სუნნა და სწორ გზაზე მდგომი მართალი ხალიფების სუნნა

აბუ ნაჯიჰ ალ-ირბად იბნ სარიასგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მასით) გადმოცემულია, რომ მან თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეგვაგონა, რომლისგანაც გულები შიშით აივსო და თვალებიდან ცრემლები წამოვიდა. ჩვენ ვუთხარით: ო, ალლაჰის შუამავალო! ეს ჰგავს იმ შეგონებას, რომელსაც დამშვიდობების წინ იტყოდა ადამიანი, მოგვეცი რჩევა-დარიგება! მაშინ მან თქვა: «გირჩევთ ალლაჰის შიშს, სმენას და მორჩილებას (მმართველზე), თუნდაც თქვენზე მმართველად მონა იყოს დადგენილი, ვინც კი თქვენგან ჩემს შემდეგ იცოცხლებს, ნახავს მრავალ განსხვავებას. ამიტომ მტკიცედ დაიცავით ჩემი სუნნა და სწორ გზაზე მდგომი მართალი ხალიფების სუნნა, მაგრად ჩაებღაუჭეთ მას კბილებით! და ერიდეთ ახალ გამოგონილ საქმეებს, ჭეშმარიტად, ყოველი სიახლე [რელიგიაში] გზააბნეულობაა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა და ალ-თირმიზიმ]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისეთი დარიგება გაუკეთა საჰაბებს, რომ ათრთოლდა მის გამო გულები და ატირდა თვალები. და უთხრეს: ო ალლაჰის შუამავალო, თითქოს გვემშვიდობებოდე ამ დარიგებით, როცა შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზედმეტად მეტი ყურადღება შეამჩნიეს საუბარში, და მისგან ითხოვეს ანდერძად რჩევა, რომელსაც ჩაეჭიდებოდნენ მის შემდგომ. თქვა: მე თქვენ ანდერძად გიტოვებთ, რომ გეშინოდეთ უზენაესი ალლაჰის. ეს ვლინდება ბრძანებების შესრულებაში და აკრძალულებზე მორიდებაში. სმენა და მორჩილება, ანუ: მმართველების მიმართ, თუნდაც მონა გახდეს თქვენი მმართველი ან ხელმძღვანელი, ანუ ყველაზე მდაბიო ადამიანიც რომ გახდეს თქვენი მმართველი არ უარყოთ ის და დაემორჩილეთ მას, საშიშროებით იმისგან, რომ არ გავრცელდეს არეულობა, რადგან ვინც იცხოვრებს თქვენგან დიდხანს, ის ბევრ განხეთქილებებს იხილავს. შემდეგ განუმარტა მათ გამოსავალი ამ განხეთქილებისგან, ეს მოხდება მის სუნნაზე და მის შემდეგ მყოფი მართალი მართლმორწმუნე ხალიფების სუნნაზე ჩაჭიდებით, რომლებიც არიან აბუ ბაქრ ას-სიდიიყ, 'უმარ იბნ ალ-ხატაბ, 'უსმან იბნ ა'ფვან და 'ალი იბნ აბუ ტაალიბ (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი). ჩაეჭიდეთ მას კბილებით ანუ - უკანა კბილებით-: ანუ ასეთი სერიოზულობით მიუდექით სუნნას და ჩაეჭიდეთ მას. მან ასევე გააფრთხილა ისინი რელიგიაში სიახლეებთან (ბიდ'ა) დაკავშირებით და თქვა, რომ ყოველი ინოვაცია გზააბნეულობაა.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee